# დღესასწაულის დევიზი — ჩვენი ჯანმრთელობა!

## საქართველოს დედაქალაქში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში 3 აპრილს ჩატარდა ჯანმრთელობის, სპორტის დიდი დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობდა ასიათასობით ადამიანი


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 65 (7376)

5 1983 წ. აპრილი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


**სადღესასწაულოდ** იყო მორთული **კუს ტბის** მიდამოები, რომლის გაფორმებისთვის მზრუნველობა და ყურადღება არ დაუშურებია „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობას. აქ გამართულ დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს ორჯონიკიძის რაიონის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და მათი ოჯახის წევრებმა; ტექნიკუმებისა და პროფესიული ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებმა, მუშა-მოსამსახურეებმა, „ბურევესტნიკის" ბავშვთა სპორტული სკოლის 700-მა სპორტსმენმა, სულ 13000 სპორტის მოყვარულმა.

...დილის 9 საათზე ფუნიკულიორის ზედა პლატოზე და ბაგების დასაწყისში, სტარტი მიეცა მრავალათასიან ტურისტულ ლაშქრობას, 11 საათზე მოლაშქრენი შეერთდნენ კუს ტბის ჩრდილოეთ ფერდობზე. ეს იყო ულამაზესი და დასამახსოვრებელი სანახაობა.

აქვე გაიმართა მძლეოსნური კროსი. შეჯიბრება მინიფეხბურთში, კრივში, სიმძიმეების აწევაში, მოძრავ თამაშებში, ასპარეზობა იალქნიანი ნავებით.

ვის არ ნახავდით ამ დღეს კუს ტბის მიდამოებში, დიდი და პატარა ცდიდა ამ დღეს თავის სპორტულ შესაძლებლობას.

ტურისტული ლაშქრობიდან ფინიშთან პირველები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტები დაბრუნდნენ. მათ წინ მოუძღოდა უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი **ვაჟა ოკუჯავა**, ფიზაღზრდის კათედრის გამგე, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ელენე გოკიელი**, უფროსი მასწავლებელი **ელგუჯა ნოზაძე**.

აი, რა თქვა **ვ. ოკუჯავამ:** — დღევანდელი დღე შესანიშნავია, დღეს ახალგაზრდებთან ერთად ვზეიმობთ ჩვენც. ეს არის ჯანმრთელობის, მხნეობის, ახალგაზრდობის დღე. სრულყოფილი შემოქმედებითი ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ჯანმრთელობის სათანადო სრულყოფა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჯანმრთელობისათვის ბრძოლაში სიხარულითა და სიამოვნებით მიიღებენ მონაწილეობას ჩვენი ინტელიგენციის ყველა თაობის წარმომადგენლები. 12 კილომეტრი გავიარე, თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

**ელენე გოკიელი:** უნივერსიტეტის 6000 წარმომადგენელს სათავეში ედგა რექტორატის, პროფკომის, კომკავშირისა და სპორტული კლუბის ხელმძღვანელები. ჩვენთან ერთად ხალისიანად მოაბიჯებდნენ სტუდენტები. პლატოზე ასვლა დავიწყეთ ფუნიკულიორის სადგურიდან. იქიდან კუს ტბისაკენ ავიღეთ გეზი. განცვიფრებული ვარ პატივცემული ვაჟა ოკუჯავას შემართებით. ზოგჯერ მიჭირდა კიდეც დავწეოდი. 12 კმ-იანი მანძილი 1 საათსა და 20 წუთში გავიარეთ. თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

ლაშქრობის ყველაზე პატარა მონაწილე 6 წლის **ლაშა შენგელია** გახლდათ. ის მამასთან, **მარლენ შენგელიასთან** ერთად (უნივერსიტეტის გაერთიანებული პროფკომის თავმჯდომარე) მხნედ მოაბიჯებდა და 12 კილომეტრი ისე გაიარა, წამითაც არ შეუსვენია.

პოლიტექნიკოსთა შორის, რომლებსაც ინსტიტუტის მხცოვანი პრორექტორი **აკაკი კოტარია** მოუძღოდა, ბევრ პროფესორ-მასწავლებელს შენიშნავდით. ჩვენ გავესაუბრეთ ერთ მათგანს, მასალათა გამძლეობის კათედრის გამგეს, პროფესორ **ანდრო ლოხაბერიძეს**, რომელსაც კათედრის თითქმის ყველა თანამშრომელი ახლდა:

— ფიზკულტურელთა ეს ზეიმი სასარგებლო და ხელმისაწვდომია ყველა ასაკის ადამიანისათვის და ჩვენი ერთსულოვნებაც ამან გამოიწვია. შეხედეთ 72 წლის დოცენტს ვალიკო შუშანიას, თუ

(გაგრძელება იხ. მე-2-3 გვ.).

**თბილისის მიკრორაიონებში, საცხოვრებელ ადგილებში ჩატარდა 212 სპორტული ასპარეზობა. მასობრივ შეჯიბრებაში 90 ათასამდე კაცი მონაწილეობდა.**

**საქალაქო მასშტაბის ღონისძიებებში, რომლებიც ფიზკულტურულ კოლექტივებში, ფაბრიკა-ქარხნების სპორტულ ბაზებზე, ჯანმრთელობის ზონებში გაიმართა, 150 ათასამდე თბილისელი გამოვიდა.**

**გაზაფხულის, ჯანმრთელობის, სიჭაბუკისა და სპორტის დღე სულ 240 ათასამდე მშრომელმა, სტუდენტმა და მოსწავლემ იზეიმა.**







### ლისის ტბაზე...

ეს ფოტოსურათები მოგვითხრობენ ლისის ტბის მიდამოებში გამართულ სპორტულ დღესასწაულზე. კროსი, ჭადრაკი, მინი-ფეხბურთი, ფრენბურთი, შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობებში — ყველა ამ ღონისძიებას შეფობდნენ დინამოელები.

ჯანმრთელობა იყო ამ დღესასწაულის დევიზი და, აბა, სად გაიკაჟებს კაცი სხეულს თუ არა გაზაფხულის მზითა და კამკამა ჰაერით სავსე ამ მომხიბვლელ ადგილას.

ჯანმრთელობა იყო ამ დღესასწაულის დევიზი და დედაქალაქის მშრომელები ამ სიტყვასა და მოწოდებას თანდათან, სულ უფრო მეტი მონდომებით აქცევენ საქმედ.





# ჯანმრთელობის, სიჭაბუკისა და სპორტის დიდი ზეიმი

კუს ტბაზე...









გაგრძელება

როგორი ახალგაზრდული სიჩაუქით მოაბიჯებს ჩვენს გვერდით. კარგი იქნება, თუ ხშირად გაიმართება ჯანმრთელობის მსგავსი დღესასწაულები, ჩვენ არც ერთ მათგანს არ გამოვაკლდებით.

* * *

ზუსტად 12 საათზე **თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე** საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ჯანმრთელობის დღისადმი მიძღვნილი ალლუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ ფიზკულტურული კოლექტივები და სპორტული კლუბები, საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, კავშირის ვაჭრობის ტექნიკუმების მუშა მოსამსახურენი. მათ შეუერთდნენ იპოდრომის მახლობლად მცხოვრებნი. გაიმართა შეჯიბრება მძლეოსნურ კროსში, სიმძიმეების აწევაში, ბაგირის გადაძალვაში. გამოვიდნენ საფეხბურთო კლუბ „იმედის სტარტების" ნორჩი ფეხბურთელები. აქვე გაიმართა მიკრორაიონის მკვიდრთა „ოჯახური პაექრობა". განსაკუთრებით ლამაზი და საინტერესო იყო ცხენებით ასპარეზობა — ხტომები, წინაღობების გადალახვა, გასეირნება იპოდრომის გარშემო. მოეწყო ველოსიპედისტთა რბოლა 2 კმ-ზე. ბოლოს, გაიმართა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. სარბიელზე გამოვიდნენ **საგარეჯოსა და ქარელის** რაიონების მოჭიდავეები.

აი, რა გვითხრა მთავარმა მსაჯმა, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა **ნოდარ თვაურმა:** — ჩვენი ძირითადი მიზანია ხალხს ვაჩვენოთ სპორტის სილამაზე, დავარწმუნოთ მის მნიშვნელობაში, რათა იყვნენ ჯანმრთელები, გაიკაჟონ და გაიხანგრძლივონ სიცოცხლე. რაც შეიძლება მეტი ადამიანი უნდა მოვიზიდოთ ასეთ დღესასწაულებზე. სასურველია ყოველი შაბათი და კვირა ჯანმრთელობის გაკაჟების დღედ ვაქციოთ.

* * *

**„ლოკომოტივის" სტადიონზე კარგა ხანია ამდენი ხალხი არ შეკრებილა. აქ მოვიდნენ ორჯონიკიძის სახელობის რაიონის საშუალო სკოლებისა და ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები, თბილგვირაბმშენის მრავალრიცხოვანი კოლექტივი, მოვიდნენ ამ სტადიონზე მომეცადინე ჯანმრთელობის ჯგუფის წევრებიც...**

ინჟინერ-ეკონომისტი მილა ზალცბერგი, გეოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ირინა შატილოვა, ინჟინერი ანატოლი ბორინშტეინი და სხვები კვირაში სამჯერ ვარჯიშობენ. აქ მოსვლამდე ბევრი მათგანი ჯანმრთელობას უჩიოდა. უკვე რამდენიმე წელი გავიდა და, როგორც იტყვიან, ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. აქაური პირობები, ვარჯიშთა კომპლექსი და დისციპლინა კი ისე მოეწონათ, რომ ახლა ბევრი მათგანი შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ვარჯიშობს.

— ჩვენი ჯანმრთელობის ჯგუფის წევრები ჩვეულებრივად სტადიონის უკან ვიკრიბებით, დღეს კი აქ, სტადიონის სარბენ ბილიკზე დავრბივართ. ამას ერთგვარად პროპაგანდისტული მნიშვნელობა ექნება აქ მოსული ბავშვებისა და მოზრდილებისათვის, — ამბობს ჯგუფის მამასახლისი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სარეაბილიტაციო ცენტრის თანამშრომელი **კლარა ლუბარსკაია.**

გვესაუბრება თბილგვირაბმშენის კოლექტივის ფიზკულტურის მეთოდისტი **მურთაზ კაპანაძე.**

— ჩვენი ბევრი მოწინავე მუშა და გვირაბგამყვანი კარგი სპორტსმენიცაა. № 4 უბნის ფიზორგი, გვირაბგამყვანი ბორის ზამბახიძე 14 წელია ჩვენთან მუშაობს. ბორისი მშვენიერი ფრენბურთელი, პირველთანრიგოსანი ტყვიის მსროლელი და ამიერკავკასიის გზის ჩემპიონია მშთ მრავალჭიდში. სოციალისტური შრომის გმირი ალექსანდრე დათაშვილი ასევე ერთ-ერთი უბნის ფიზორგი და ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა. მისი ინიციატივით თბილისის ზღვაზე ახალ სპორტულ კომპლექსს ვაშენებთ, ხოლო მოწინავე გვირაბგამყვანი მურთაზ ფართლაძე, რომელიც ახლა სასტუმრო „ივერიის" წინა მოედნის კეთილმოწყობაზე მუშაობს, ყოფილი ფეხბურთელია და ამჟამად ჩვენს ახალგაზრდა ფეხბურთელებს წვრთნის. ისინი და ბევრი სხვა ჩვენი თანამშრომელი დღეს აქ ერთმანეთს შეეჯიბრება სირბილში, სიმძიმეების აწევაში, ბაგირის გადაძალვაში.

ამასობაში რაიონის სკოლების მოსწავლეები სტადიონის ირგვლივ სარბენ ბილიკზე მოეწყვნენ. მათ ირბინეს მოკლე მანძილებზე, ჩააბარეს ნორმატივი სიგრძეზე ხტომაში, ითამაშეს მინიფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთისა და ჭადრაკის მოყვარულებმა კი გამარჯვების პარკში გადაინაცვლეს.

* * *

**ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის** შესასვლელში პარტიის პირველი მაისის სახელობის რაიონის კომიტეტის თაოსნობით მოეწყო სპორტსაქონლის გამოფენა-გაყიდვა. თაროებზე კოხტად ჩამომწკრივებულიყვნენ კალათბურთისა და ფეხბურთის ნაირ-ნაირი ბურთები, სხვადასხვა სახის სპორტული ფეხსაცმელი, ბადმინტონის ჩოგნები. მსურველებს აქვე შეეძლოთ შეეძინათ საჭირო აღჭურვილობა და სათანადოდ მომზადებულები მისულიყვნენ ზეიმზე.

12 საათზე დღესასწაულთან დაკავშირებით გაიმართაა პარადი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პირველი მაისის რაიონის სკოლების, ტექნიკუმების და სახლმმართველობათა გუნდების შვიდასამდე მოსწავლემ. პარადის შემდეგ დაიწყო შეჯიბრება მინიფეხბურთში, რომელმაც მონაწილეთა და მაყურებელთა დიდი რაოდენობა მიიზიდა. პირველად ერთმანეთის პირისპირ მე-18 სკოლისა და რკინიგზის ტექნიკუმის ფეხბურთელები დადგნენ. დაძაბული ორთაბრძოლა მე-18 სკოლელების გამარჯვებით, ანგარიშით 3:2, დამთავრდა. შემდეგ 166-ე სკოლისა და სახლმმართველობის გუნდის „თოლიას" ნორჩმა ფეხბურთელებმა სცადეს ძალები. მაყურებელთა მხარდაჭერისა და გამამხნევებელი შეძახილების მიუხედავად, ეს შეხვედრა „თოლიას" მარცხით 0:5 დასრულდა.

საფეხბურთო ასპარეზობიდან მორბენლებისკენ გადავინაცვლეთ: რბენის მოყვარულებს სპრინტერული დისტანცია 100 მეტრი მოეზომათ და ერთმანეთს სისწრაფეში ეჯიბრებოდნენ. ყველაზე სწრაფი ამ დღეს გოგონებში **ელენა ხორატოვა** აღმოჩნდა, ხოლო ვაჟებში მე-18 სკოლის მოსწავლემ **თამაზ გოგლიძემ** იმარჯვა. მორბენლების გვერდით „განთიადის" ძიუდოისტებმა მოაწყვეს ტატამი და ზეიმის მონაწილეთათვის საჩვენებელი ორთაბრძოლები გამართეს. ყველაზე მეტად მაყურებლებს ნორჩი მოჭიდავეების **გოჩა თოთლაძის, გიორგი მერაბიშვილისა** და **დათო ნაცაურის** გამოსვლა მოეწონათ.

ძიუდოისტების კვალდაკვალ მოკრივეებმა, ფრენბურთელებმა და კალათბურთელებმა იასპარეზეს. მაყურებელი და მხარდამჭერი არც ერთ მათგანს არ აკლდა, მაგრამ მეტი ინტერესი და სიმპატია მაინც სკოლამდელი ასაკის ველოსიპედისტთა შეჯიბრებამ გამოიწვია. პატარები ნამდვილი სპორტსმენებივით დიდი ჟინითა და შემართებით ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. „ინტერვიუ" ყველაზე პატარა მონაწილეს 3 წლის **გიორგი მაღალაშვილს** ვთხოვეთ:

— მართალია სხვებმა მაჯობეს, მაგრამ არა უშავს, მომავალ წელს მე მოვუგებ ყველას. დღესასწაული ძალიან მომეწონა. დღეს უამრავი ჩემი საბავშვობაღელი ვნახე ზეიმზე. მათთან ერთად ბევრი ვითამაშე.

„ეს დღე ბავშვებისთვის მართლაც რომ სადღესასწაულო გამოდგა. კარგი იქნებოდა თუ ხნიერი ასაკის ხალხიც მიიღებდა მონაწილეობას ამგვარ ღონისძიებებში. სიამოვნებით შევეჯიბრებოდი მათ სიმძიმეების აწევაში, ბაგირის გადაძალვაში, ან თუნდაც შაშში". — გაგვიზიარა თავისი შეხედულება გიორგის პაპამ **ალექსანდრე მაღალაშვილმა.**

ბოლოს ისევ ფეხბურთელებს ვეწვიეთ. აქ წინასწარი შეხვედრები დამთავრებულიყო და ფინალური მატჩი მიმდინარეობდა. მე-18 სკოლის გუნდმა გადამწყვეტ შეხვედრაში მოუგო 27-ე სკოლას ანგარიშით 5:0. „ჩვენმა ბიჭებმა დღეს ძალზე გვასახელეს. ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი და ბოლო თამაშში გოლები გაიტანეს: **მამუკა ლუხუტაშვილმა, თამაზ გოგლიძემ და ილია გოგინაშვილმა".** — გვითხრა სკოლის ფიზაღზრდის უფროსმა მასწავლებელმა **მერაბ დოდაშვილმა.**

ზეიმის დასასრულს გაიმართა ცალკეულ სახეობებში გამარჯვებული გუნდებისა და მონაწილეების დაჯილდოება. სპორტსაზოგადოება „განთიადის" წარმომადგენლებმა გამარჯვებულებს საპატიო სიგელები გადასცეს. გულდაწყვეტილები არც ისინი დარჩენილან, ვინც პირველობა ვერ მოიპოვა. საჩუქრად მათ ასპარეზობაში მონაწილეობის სიხარული და ხალისიანი განწყობილება მიიღეს.

* * *

**ყიფიანის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში** პირველად სარბიელი ფეხბურთის მოყვარულებს დაეთმოთ. მიკროტურნირმა ფეხბურთში მაყურებელთა აქტიური მხარდაჭერითა და მონაწილეობით ჩაიარა. ყველაზე კარგად მე-12 სკოლის ბიჭუნებმა იასპარეზეს. ისინი ფინალში მე-14 სკოლელ თანატოლებს შეხვდნენ და დაამარცხეს ანგარიშით 2:1. ფეხბურთელები მაგიდის ჩოგბურთელებმა შეცვალეს. აქ ყველაზე მოხერხებული და სწრაფი **ზაზა მარმარაშვილი** აღმოჩნდა. მან ყველა მეტოქეს სძლია და პირველობასაც დაეუფლა. ერთ სახეობას მეორე მოსდევდა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ფრენბურთელები, ძალოსნები, მორბენლები. უკლებლივ ყველას თამაშისა და შეჯიბრების განწყობილება გადაედო. კომკავშირელებმა თვითონ ითავეს ზოგიერთი ასპარეზობის მოწყობა და მონაწილეებად თავიანთი უმცროსი მეგობრები, პიონერები და ოქტომბრელები მიიწვიეს. რამდენიმე წუთის შემდეგ დაიწყო შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ახმაურდა დოლი, აჭყივტინდა ზურნა. ნახერხის სარბიელზე ერთმანეთის სიჩაუქესა და მუხლის ძალას ცდიდნენ მამლაყინწა ბიჭები. პატარა ფალავნებმა ნამდვილი ცეცხლი დაანთეს საჭიდაო მოედანზე. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი და მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს **ვახტანგ არაბულმა, არჩილ არჩვაძემ, დათო თომაძემ,** მე-14 და მე-12 სკოლის მოსწავლეებმა. შეჯიბრების შემდეგ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ილო ტყლაშაძე** მონაწილეებს ესაუბრა ქართულ ჭიდაობაზე, ნორჩ მოჭიდავეებს ბევრი სასარგებლო რჩევა მისცა, აჩვენა ზოგიერთი ილეთი.

კვირა დღეს კიკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაულის არენად იქცა. ორგანიზატორების — ლენინის რაიონის სპორტკომიტეტისა და განათლების განყოფილების თაოსნობით მოწოდებაზე: „ყველანი სტადიონებზე, პარკებში და ტურისტულ ბილიკებზე" გამოვიდა რამდენიმე სკოლისა და პროფტექნიკური სასწავლებლის 500-ზე მეტი მოსწავლე-სტუდენტი. შეჯიბრებებისაგან გამოწვეული შთაბეჭდილებები, ზეიმზე მიღებული შესანიშნავი გუნება-განწყობა მონაწილეებს დიდხანს გაჰყვებათ და კეთილ მოგონებად დარჩებათ.

* * *

**გლდანის** მასივის სპორტულ მოედნებზე (რაიონში სულ 36-ია) მუდამ ხალხმრავლობაა. წლის ნებისმიერ დროს, არა მარტო ბავშვები, არამედ მოზრდილებიც აქ იკრიბებიან. 3 აპრილს მასივის სპორტულ მოედნებზე დიდი ზეიმი გაიმართა. მე-6 მიკრორაიონის ფეხბურთელთა გუნდ „ვარაზს" კარგად იცნობენ ფეხბურთის მოყვარულები. ადრე მას „მშვიდობა" ერქვა და სამჯერ მონაწილეობდა „ტყავის ბურთის" საკავშირო შეჯიბრებაში, შარშან კი ვერცხლის პრიზიორიც გახდა. ამ დღეს ისინი მასპინძლობდნენ მე-4 მიკრორაიონის გუნდ „ჩიორას" და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 3:1. მე-2 და „ა" მიკრორაიონებში გაიმართა მატჩები მინი-ფეხბურთსა და კალათბურთში, ერთმანეთს შეხვდნენ მე-2 და მე-7 და „ა" და მე-3 მიკრორაიონების გუნდები. განსაკუთრებით ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი „სხნათლის" სტადიონზე, სადაც გაიმართა კროსები 300 და 500 მეტრზე, შეჯიბრება ბაგირის გადაძალვაში. გლდანის სპორტსკოლის ტანმოვარჯიშეებმა და აკრობატებმა თავიანთი ოსტატობა აჩვენეს. 1000 მეტრზე კროსში მონაწილეობდნენ გლდანის ყველა თოთხმეტივე სკოლის V—X კლასის მოსწავლეები, მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმისა და №№ 75, 80 და 126 პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები. მონაწილეთა სიმრავლის გამო საჭირო გახდა შეჯიბრება რამდენიმე ნაკადად ჩატარებულიყო.

136-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელები ამ დღის მომდევნო ღონისძიებაზე ბჭობდნენ.

— კროსის შემდეგ მთელი კლასი ფეხით წავალთ თბილისის ზღვაზე, — თქვა იგორ იაკოვლევმა. — თან წავიღებთ ბურთს, ჩოგნებს, ჭადრაკს. ასე რომ, დღევანდელ დღეს მთლიანად სპორტს მივუძღვნით.

ტრანსპორტის მოძრაობა შეჩერდა. სპორტულ ფორმებში გამოწყობილი მოზარდები ტრასას მოეფინენ და მთელი მაგისტრალი დაფარეს. მაღლიდან რომ დაგეხედათ, იფიქრებდით, ავეჯის სახლიდან მე-6 მიკრორაიონამდე ცისფერი მდინარე დაძრულაო.

ველორბოლაში მოსწავლეებთან ერთად მშრომელებიც მონაწილეობდნენ. დღის ყველაზე საინტერესო ღონისძიება გახლდათ შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, რომელიც მე-6 მიკრორაიონში სპეციალიზებულ საჭიდაო სარბიელზე გაიმართა. სპორტსაზოგადოება „სპარტაკისა" და ზ. ბერიაშვილის სახელობის კლუბის წარმომადგენელთა სარბიელზე გამოსვლამდე, თავიანთ ოსტატობას აჩვენებდნენ ახლომდებარე კორპუსებში მცხოვრები ბავშვები. ერთ-ერთ მათგანს, 115-ე სკოლის I კლასის მოსწავლე ვასიკო ხელაშვილს მოედნის სრულუფლებიან მასპინძლად მიაჩნდა თავი. — ჩვენ აქ მთელი დღე ვჭიდაობთ, — თქვა მან მას შემდეგ, რაც „ორთაბრძოლა" მოუგო მასზე საკმაოდ უფროს მეტოქეს.

— ვინ გასწავლა ჭიდაობა?

— მამამ. იგი ჩვენს სოფელში ქვემოჭალაში ყველას ერეოდა. სიველებიც და თასებიც გვაქვს შინ.

— ალბათ შენც ძლიერი მოჭიდავე იქნები.

— მოჭიდავეც ვიქნები, ფეხბურთელიც და მოცურავეც, — ამაყად თქვა პატარამ.

...აი, დაიწყო შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ძალზე საინტერესოდ ჩატარდა. სხვადასხვა წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს გ. ბეგლარიშვილმა (40 კგ), ა. მამალაძემ (45), ზ. გვრიტიშვილმა (49), გ. ბეჟანიშვილმა (52), ვ. ბლიაძემ (56), ს. სოხაშვილმა (59), ნ. ელოშვილმა (62), ჯ. ჩხეტიანმა (65), გ. მათითაიშვილმა (68), გ. ფსუტურმა (73).

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, ზ. ბერიაშვილის სახელობის კლუბის მწვრთნელმა **გ. ქუქუშვილმა** თქვა: სასიამოვნოა, რომ სპორტსმენებს ღირსეული მეტოქეობა გაუწიეს მოყვარულმა მოჭიდავეებმა. ბავშვთა შეჯიბრებების ჩატარება და მსაჯობა მუდამ საინტერესოა, მაგრამ სასურველია მოზრდილებიც აქტიურად ჩაებან ამ შეჯიბრებაში.

ჯანმრთელობის დღეს მიეძღვნა აგრეთვე გლდანის რაიონის 14 საწარმოო კოლექტივის 1120 მშრომელის ტურისტული ლაშქრობა მამკოდაზე.

* * *

**მხიარული** განწყობილება სუფევდა გუშინ თბილისის ზღვის კულტურისა და დასვენების პარკის სპორტულ მოედნებზე.

ოქტომბრის რაიონის სპორტკომიტეტმა (თავმჯდომარე ომარ ჩხაიძე), ყველაფერი იღონა, რათა ეს ჩვეულებრივი კვირა დღე ჯანმრთელობის ნამდვილ დღესასწაულად გადაექცია. მოსწავლეებს, მუშა ახალგაზრდობას და მათ, ვინც ამ ზეიმში მონაწილეობდა საშუალება მიეცათ თავისი ძალები გამოეცადათ შეჯიბრების თითქმის ყველა სახეობაში: სიმძიმეების აწევაში, ბატუტზე ხტომაში, ქართულ ჭი-

(დასასრული მე-4 გვ.).

თბილისის იპოდრომზე...







ორჯონიკიძის სახ. პარკში...



თბილისის ზღვაზე...









„ლოკომოტივის" სტადიონზე...







დიღმის ტყე-პარკში...







**აფხაზეთის** ქალაქებსა და რაიონებში ჯანმრთელობის ბილიკებზე დადგნენ არა მარტო ადგილობრივნი, არამედ დასასვენებლად, ჯანმრთელობის აღსადგენად ჩამოსული ასობით სტუმარიც. საჩვენებელი გამოსვლები მოაწყვეს სსრ კავშირის ნაკრები გუნდების წევრებმაც, რომლებიც აქაურ სპორტულ ბაზებზე იმაღლებენ ოსტატობას. ზეიმი გაიმართა ზღვაზე, საცხოვრებელ ადგილებში. სპორტის, სიჩაუქის ეს დღე აფხაზეთის ყოველმა მე-4 მცხოვრებმა იზეიმა...

**ბათუმში,** აგრეთვე აჭარის რაიონებსა და სოფლებში ამ დღეს 15 ათასზე მეტი ადამიანი დადგა ჯანმრთელობის სტარტებზე. ხელვაჩაურის ანგისას სტადიონზე, ხულოში და სხვა რაიონებში მოეწყო ასპარეზობები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ტურისტული ლაშქრობანი და ა. შ.

**ცხინვალის** სპორტულ ბაზებზე, სტადიონებზე დილიდანვე შეიკრიბნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დედაქალაქის მკვიდრნი — 2500-მდე კაცი. რაიონულ ცენტრებში გამართულ ასპარეზობებში 6 ათასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა.

**ქუთაისში** გაიმართა ვარსკვლავისებური ტურისტული ლაშქრობა. საცხოვრებელ ადგილებში, სპორტულ ბაზებზე, სტადიონებზე 40 ათასი ქუთაისელი გამოვიდა.

ჯანმრთელობის დიდი დღესასწაული გაიმართა მეტალურგთა ქალაქში რუსთავში, აგრეთვე ზუგდიდში, ჭიათურაში, გორში, ზესტაფონში, საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯანმრთელობის, სიჭაბუკისა და სპორტის დიდი ზეიმი

რუსთავში...











დასასრული

დარბაზში, მინი-ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში და სირბილში.

განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ 100 და 1000 მეტრზე რბენაში. სირბილი ხომ ყველასათვის ხელმისაწვდომია. იყვნენ გამარჯვებულებიც, იყო შესაბამისი რეკორდებიც...

100 მ. რბენაში გაიმარჯვა **გია ბალარჯიშვილმა.** გიამ თავი გამოიჩინა სიმძიმეების აწევაშიც. 1000 მეტრზე I-II ადგილები მეგობრულად გაიყვეს მე-5 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა **ხვანაძემ და ალიბეგაშვილმა.** უფროს მეგობრებს ტოლს არ უდებდნენ ყველაზე ნორჩი მონაწილეები **შალვა და გიორგი გოძიშვილები;** გოგიტა 11 წლისაა, შალვა 9 წლის. ძმები დიდი ხალისით მონაწილეობდნენ ყველა შეჯიბრებაში.

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ოქტომბრის რაიონის სპორტკომიტეტის სამახსოვრო სიგელებით. ჩატარდა გუნდური შეჯიბრება ფრენბურთში, კალათბურთში, მინი-ფეხბურთში.

თითქმის ყველა გუნდურ პაექრობაში საპრიზო ადგილი დაიკავა საწარმოო გაერთიანება საქლვინმანქანათმშენის გუნდმა.

აი, რა გვითხრა ამ გაერთიანების კომკავშირის მდივანმა აგუნდა სოზიროვამ:

„ჯანმრთელობის დღესასწაულში მონაწილეობის სურვილი 200-ზე მეტმა მუშა-ახალგაზრდამ გამოთქვა. შარშან მსურველთა რიცხვი გაცილებით ნაკლები იყო. კარგია, რომ ეს ღონისძიება ტრადიციად იქცა“.

საინტერესო, დაძაბული ასპარეზობის შემდეგ აქ შეკრებილთ თავიანთი ხელოვნება უჩვენეს გორკის სახელობის კულტურისა და ტექნიკის სახლის ვოკალურმა ანსამბლმა „მამულომ“ და 26-ე საშუალო სკოლის ხალხურ საკრავთა ანსამბლმა.

კონცერტის შემდეგ თბილისის ზღვაზე ზეიმის მონაწილეთათვის გაიმართა საჩვენებელი შეჯიბრებები იალქნიანი ნავებით, საჩვენებელი გამოსვლები წყლის თხილამურებით, მოეწყო კატარღების ალლუმი. ზეიმი დიდხანს გაგრძელდა.

● ● ●

**ჯანმრთელობის, სიჭაბუკისა და სპორტის დიდი დღესასწაულისადმი მიძღვნილი მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული ღონისძიებები გაიმართა აგრეთვე დიღმის მასივის ტყე-პარკში, მდინარე მტკვარზე, „გამარჯვების“ პარკში, დიმიტროვის სახელობის ქარხნის სტადიონზე, 300 არაგველის ობელისკთან, ვაზისუბანში (90-ე საშუალო სკოლასთან) და სხვ.**

● ● ●

**სადღესასწაულო** ელფერი ედო ინდუსტრიულ ქალაქ რუსთავს.

დილიდანვე ხალხმრავლობა იყო „მეტალურგის“ სტადიონზე. აქ მოეწყო რბენები სხვადასხვა დისტანციებზე. სათადარიგო მოედანზე 1966-1968 წლებში დაბადებულ იუნიორ ფეხბურთელთა რესპუბლიკური პირველობის მატჩის შემდეგ („ნორჩი მეტალურგი“ და თბილისის „ავაზა“ 4:0) გაიმართა ამხანაგური შეხვედრა სპორტკლუბ „არიშის“, უმცროსი ასაკის გუნდ „იმედსა“ და „ავაზას“ შორის. ტირში ასპარეზობდნენ ტყვიის მსროლელები. დარბაზში ჩატარდა „მხიარული სტარტების“ საქალაქო პირველობა, სარბიელზე გამოვიდნენ მე-3 და მე-17 საშუალო სკოლების მოსწავლეები. წარმატებას მიაღწიეს მე-17 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. მთელი დატვირთვით მუშაობდა საცურაო აუზი „თოლია“.

ქალაქის საბინაო სამმართველოს ტრესტის სპორტკლუბ „არიშის“ 300-მდე ნორჩი ფეხბურთელი და მრავალი მშრომელი შეიკრიბა მშენებარე სტადიონზე, მოაწყვეს შაბათობა, ქვა-ღორღისაგან გაასუფთავეს ახალი სტადიონი, შემდეგ „მეტალურგის“ სტადიონისაკენ გადაინაცვლეს. აქ ჯერ ნორჩებმა ითამაშეს მინი-ფეხბურთი, შემდეგ გულმა არც მშობლებს გაუძლო და ისინიც ჩაებნენ შეჯიბრებაში. „აღმოსავლეთი“ და „დასავლეთი“ — ასე დაარქვეს გუნდებს. უნდა გენახათ, როგორ ქომაგობდნენ შვილები მამებს, საბოლოოდ „აღმოსავლეთის“ გუნდმა იმარჯვა — 3:1.

ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში 400-მდე მოსწავლე და მასწავლებელი შეიკრიბა. აქ მათ მოაწყეს შეჯიბრება მინი-ფეხბურთში, ბადმინტონში, კალათბურთში და მოკლე მანძილზე რბენაში.

მე-3 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის სპორტულ ბაზებზე ქალაქის ყველა საშუალო პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კროსში, ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში, სიმძიმეების აწევაში.

ქიმიური ქარხნის სპორტული კომპლექსი ქიმიკოსებსა და მათ შვილებს ვერ იტევდა. გაიმართა შეხვედრა-შეჯიბრებები ცურვაში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, მინი-ფეხბურთში. ჩოგბურთის კორტებზე ამ სახეობის მოყვარულნი თამაშობდნენ, მათ შორის იყვნენ ყველაზე ხანდაზმულები და ვეტერანები ეკონომისტი პ. ზაბახანოვი, მხატვარი გ. წურქავა, იურისტი მ. ლატუტოვა, პედაგოგი მ. პოგერებიესკი, მექანიკოსი რ. ფანცხავა, კონსტრუქტორი ლ. გერცმანი და სხვები. №1 სამშენებლო ტრესტის მოედანზე, რბენის შემდეგ საერთო საცხოვრებლების ფეხბურთელთა გუნდებმა გამართეს შეჯიბრებები.

* * *

**სპორტის დღესასწაულისადმი მიძღვნილი მასალები მოამზადეს: ნ. ჯოხარიძემ, ლ. ხეცურიანმა, გ. ჩოჩიშვილმა, კ. ახალბედაშვილმა, ა. ზენკომ, გ. ნუცუბიძემ, რ. გაბრიჭიძემ; ფოტოკორესპონდენტებმა: ა. კოტორაშვილმა, გ. დოლენჯაშვილმა, გ. ხანაიამ, ვ. ბუკინმა, რ. გაბრიჭიძემ, კ. სალუქვაძემ, ი. პეონიამ.**

●

**თბილისის ზღვის** მიდამოებში მრავლად შეიკრიბნენ დედაქალაქის პროფტექსასწავლებლების მოსწავლეები. ბევრი მათგანი ჩვენი საზოგადოებისათვის უკვე ცნობილი სპორტსმენია, ზოგიც ახლა იწყებს დიდ სპორტთან დამეგობრებას. გუშინწინდელ ჯანმრთელობის დღესასწაულს ერთი შეხედვით არაფერი აკავშირებს დიდ სპორტთან, მაგრამ სპორტული ზეიმი ხომ ჯანმრთელობის გაკაჟებას, მხიარული, ხალისიანი გუნებაგანწყობილების შექმნას ემსახურება! (იხ. ფოტოები მარჯვნივ).





## ● ფეხბურთი

### უმაღლესი ლიგა

**გასულ** კვირას და ორშაბათს გაიმართა სსრ კავშირის 46-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები.

**ცსკა — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:0 (0:0)**

**მოსკოვი. ცსკა-ს ზამთრის სპორტული კომპლექსი. 3 აპრილი.**

**ცსკა: ნოვიკოვი, კრუგლოვი, სამოხინი, აჯემი (კოვაჩი), კუზნეცოვი, გლუშაკოვი, ჩესნოკოვი, ბულგაკოვი, ტარხანოვი, ზემლინი (კოლიადკო), ნესტეროვი.**

**„ტორპედო“: გაბელია, კეტაშვილი, ჭილაია, თავაძე (კოსტავა), კურტანიძე, ქორიძე, კორღალიძე, ჭელიძე (ბურკაძე), მეგრელაძე, ხიზანიშვილი, ა. კვერნაძე.**

**მსაჯი კ. ვიხროვი (კიევი).**

**დუბლიორები — 3:1.**

პირველ ტაიმში მასპინძლებს გარკვეული ტერიტორიული უპირატესობა ეპყრათ, თუმცა სახიფათო მომენტი მაინც ვერ შექმნეს. ტაიმის ბოლო წუთებში ცსკა-ს კართან გაიჭრა მეგრელაძე, მაგრამ მისი უძლიერესი დარტყმა ძელს მოხვდა.

შესვენების შემდეგ თამაში მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით, ორივე გუნდი უმეტესად მინდვრის შუაგულში მოქმედებდა.

მატჩის ბედი გადაწყდა მეორე ტაიმის დასასრულს, როცა არმიელთა ცენტრფორვარდი ტარხანოვი გაექცა ტორპედოელთა მცველებს და დაბალი ბურთი გაგზავნა მეტოქის კარში — 1:0.

**გუშინ** თბილისის დინამოელებმა მე-3 ტურის კალენდარული მატჩი ჩაატარეს ვილნიუსში, ადგილობრივ „ჟალგირისთან“.

თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

### სხვა მატჩები

გუშინდელი ტურის შეხვედრები ასეთი შედეგებით დამთავრდა:

**„ტორპედო“ მ. — „არარატი“ 2:1**

**„დინამო“ მნ. — „ნეფთჩი“ 1:0**

**„შახტიორი“ — „ფახთაქორი“ 0:1**

**„დნეპრი“ — „ზენიტი“ 1:0**

**„ნისტრუ“ — „სპარტაკი“ 1:6**

**„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ მ. 1:0**

### „მეტალურგის“ გამარჯვება

**გასულ** შაბათს რუსთავში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ „მეტალურგსა“ და ფინეთის „ჰელსინკი კლუბს“ შორის.

რუსთაველმა ფეხბურთელებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრა და გაიმარჯვეს — 2:1.

---

### ჭადრაკი

**ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები**

●

### მეათე პარტია

**გუშინ** ლვოვში გაიმართა ნ. გაფრინდაშვილი — ლევიტინას მატჩის დასკვნითი, მეათე პარტია.

შეხვედრა, რომელიც მძაფრად მიმდინარეობდა, გადაიდო 41-ე სვლაზე.

ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 5:4 ლევიტინას სასარგებლოდ.

### მატჩები ფელდენში

**ნ. იოსელიანი** კიდევ უფრო მიუახლოვდა მიზანს: ლიუ შილანთან მატჩში კვირას მან მეშვიდე პარტია მოიგო. ორთაბრძოლის ანგარიში გახდა 4,5:2,5. საკმარისია დარჩენილ სამ პარტიაში იოსელიანმა ერთი ქულა მოიპოვოს, ნახევარფინალში რომ გავიდეს.

აი მეშვიდე პარტია:

**იოსელიანი — ლიუ შილანი**

**ინგლისური დასაწყისი**

1. c4 e5 2. a3 მf6 3. d3 c6 4. მf3 g6 5. მc3 d6 6. g3 კg7 7. კg2 0—0 8. 0—0 ლe7 9. e4 h6 10. d4 კg4 11. d5 c5 12. კe3 მa6 13. ლd2 მფh7 14. მe1 კd7 15. h3 ეab8 16. b4 c×b4 17. a×b4 მ×b4 18. ე×a7 ეfc8 19. მa4 მa6 20. მb6 ეc7 21. მd3 კe8 22. ეc1 ლd8 23. f4 e×f4 24. g×f4 მg8.

25. e5 კf8 26. ლf2 ეe7 27. e×d6 ე×e3 28. ლ×e3 კ×d6 29. ლf2 მf6 30. f5 მh5 31. c5 კg3 32. f×g6+ f×g6 33. ლe3 კb5 34. ეf1 კ×d3 35. ლ×d3 მ×c5 36. ეf7+ მg7 37. ლ×g3 ლ×b6 38. ლc7. შავები დანებდნენ.

მერვე პარტია დღეს, 5 აპრილს უნდა გაიმართოს.

* * *

ვ. სმისლოვ — რ. ჰიუბნერის მატჩის მეექვსე პარტია, რომელიც აგრეთვე კვირას გათამაშდა, დაუმთავრებელი დარჩა. წინ კვლავ სმისლოვია — 3:2.

ამ ორთაბრძოლის მეშვიდე პარტიაც სამშაბათსაა დანიშნული.

### მაია ლიდერთა შორის

**დორტმუნდში** (გფრ) გრძელდება ტრადიციული ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძეც თამაშობს.

5 ტურის შემდეგ ქართველი მოჭადრაკე ლიდერთა პირველ სამეულშია. მას 3,5 ქულა აქვს (ორი გამარჯვება, სამი ყაიმი).

### საიუბილეო ჩემპიონატი

**2 აპრილს** მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის ვაჟთა საიუბილეო 50-ე ჩემპიონატი.

წილისყრის შემდეგ მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განაწილდნენ: 1. ო. რომანიშინი, 2. ე. გელერი, 3. ტ. პეტროსიანი, 4. კ. ლერნერი, 5. რ. ვაჰანიანი, 6. ა. ბელიავსკი, 7. ვ. მალანიუკი, 8. ა. კარპოვი, 9. ვ. ტუკმაკოვი, 10. ი. რაზუვაევი, 11. ლ. პოლუგაევსკი, 12. გ. აგზამოვი, 13. ა. იუსუპოვი, 14. ი. ბალაშოვი, 15. ზ. აზმაიფარაშვილი, 16. ლ. ფსახისი, 17. მ. ტალი.

გაიმართა პირველი ტური. ბელიავსკიმ მოუგო იუსუპოვს, ბალაშოვმა — ვაჰანიანს და ტუკმაკოვმა — რაზუვაევს. დანარჩენი პარტიები გადაიდო, მათ შორის ლერნერ — აზმაიფარაშვილის შეხვედრა.

გთავაზობთ შეჯიბრების რეგლამენტს: ტურის დღეები — 5, 7, 8, 9, 12, 13, 14, 16, 17, 18, 21, 22, 24, 25, 27 აპრილი; გადადებული პარტიების დამთავრების დღეები — 6, 10, 15, 19, 23, 26, 28 აპრილი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე — 07476